



შაბათი, 7 სექტემბერი 1918 წ.

შრომა

№ 23

გაზეთის ფასი 40 კპ.

დასავლეთ ფრონტზე გერმანელები უკან იხევენ. ლენინის მდგომარეობა სერიოზულია. რუსეთში საბჭოთა მთავრობამ სააღყო წესების ვადა განაგრძო. ბაქოს ოსმალები უკუბარებს უშენ.

ორგანო საქართველოში მოქმედ. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კპ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პერიტით სტრიქონი 1 მან., მეორეზე 30 კპ. სამ-გლოვიარო განცხადება 15 მან.
ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Tifliser Kontora* გაზ. „*Шრომა*“, *Чавчаваძის ქ. Софийская школа*. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10-11 საათამდე.
რედაქციის მისამართი: *Tifliser Redakcija* გაზ. „*Шრომა*“ *Чавчаваძის ქ. Софийская школа*.

მიიღება ხალის მოწარა ურველ-დღიურ გაზეთი „შრომა“-ზე
გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანათი.
მისამართი: ტფილისი, ქავეჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართებლობის 16 მკათათვის დადგენილებიანამებრ არსდება
საქართველოს რესპუბლიკის
წითელი ჯვრის
საზოგადოება,
რომლის დამფუძნებელი კრება მოხდება კვირას 8 ენკენისთვეს დილის 11 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.
დღის წესრიგი:
1. ექიმი მ. ო. ზანდუკელის მოხსენება.
2. საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება.
3. საზოგადოების მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
კრებაზე დასწრება შეუძლია ყოველ ქვეშევრდომს საქართველოს რესპუბლიკისა, ხოლო გადამწყვეტი ხმა მიეცემა, ვინც შეიტანს საზოგადოების მოლაპარაკებანი წლიურ ხეგლას, რომლის მიღებაც დაკისრებული აქვს ამავე კრებაზე ა. ხუციშვილს.

საბჭოთა რესპუბლიკა.

დღეს ბოლშევიკურ დიქტატურა დიდ კრიზისს განიცდის. საბჭოთა მთავრობის ლიკვიდაციის პროცესი დღით დღე ღრმავდება. მიუხედავად ამისა ინტერესს არ იქნება მოკლებული. თუ ჩვენ მოკლეთ განუხილავთ საბჭოთა მთავრობის კონსტრუქციის ძირითად საფუძვლებს და ანალიზს გაუეთებთ მის შინაგან წინააღმდეგობას.

როგორც ვიცით, ლენინმა დიდხანა წამოაყენა ლოზუნგი პროლეტარიატისა და რევოლუციონერი გლეხობის დიქტატურის, მაგრამ ამ ლოზუნგს უფრო კონკრეტული შინაარსი მიეცა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ. „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“-ის ძახილი, რომელმაც მეტად ხელი შეუწყო ბოლშევიკების პოპულარიზაციას.

თებერვლის გადატრიალება ერთობ სწრაფი და მარტივი იყო. სახელმწიფო ძალა უფლება ფორმალურად ბურჟუაზიის ხელში გადავიდა, მაგრამ ფაქტურად რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტისა და შეუკავშირებლობის გამო ქვეყანას განაგებდნენ რევოლუციონერი ორგანიზაციები. მთელ რუსეთს ელვის სისწრაფით მოედო სხვადასხვა საბჭოები. ესენი ისე მძლავრი იყვნენ, რომ მათთან შედარებით ბურჟუაზიის კლასობრივი ორგანიზაციები არაარსებობდნენ.

ასეთ პირობებში საბჭოთა მთავრობის მოთხოვნამ უხვი ნიადაგი ჰყოვა. ფართო მასების თვალში ამ ლოზუნგის წინააღმდეგ გალაშქრება, მისი ვაკრიტიკება რეპუტაციონობას უდრიდა...

ამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქტომბრამდე ბოლშევიკები საბჭოებს აკისრებდნენ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს. დროებით საბჭოთა მთავრობას იმედათ ისინი უპირდაპირდნენ დროებითი კოალიციონური მთავრობას, შემდეგში, როდესაც ოქტომბერში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ბოლშევიკებმა საბჭოები დაუპირდაპირეს სახელმწიფოს, მის უფლებრივ ორგანოებს. მათ პრაქტიკაში საბჭოებმა ჩაუკავეს სახელმწიფო, რამაც მოგვცა ორივესი-სახელმწიფოსა და საბჭოების დაშლა, დაფლურება.

ვიღებ ოქტომბრის გადატრიალებას მოხდებოდა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლასთან ერთად ბოლშევიკები ენერგიულად მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების დაფორნებლად. მაგრამ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ისინი ნელ-ნელა იწყებენ დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ იერიშების მიტანას. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „თეზისები“ დამფუძნებელი კრების შესახებ, რომლებიც თვითნებურად ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრების გარეგნის წინა დღებში მოათავსეს. ეს „თეზისები“ რიცხვით 19, წარმოადგენენ დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ ნამდვილ საბრალმდებლო ოქმს.

ამ ერთიმეორეს უპირდაპირდება საბჭოთა მთავრობა დამფუძნებელი კრება. „თეზისები“ რა თქმა უნდა, უპირატესობას აძლევს საბჭოთა მთავრობას და

ამ დებულებას თავისებურად ასაბუთებენ. ვნახოთ, როგორია ეს დასაბუთება!..

ეს „თეზისები“ ორად შეიძლება გავყოთ: ზოგი მათგანი დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ ზოგად მოსაზრებებს წარმოადგენს, ზოგი კი ეხება იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომლებიც შექნა ოქტომბრის გადატრიალებამ: ეს ისეთი პირობებია, რომლებსაც შემდეგ ავტორების აზრით, დამფუძნებელი კრებას აზრი ეკარგება. ეს ვერ გამოხატავს ოქტომბრის პირველ შემთხვევით ძალთა განწყობილებას და სხვ.

ავტორებს ასოვთ, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა შედიოდა მათ პროგრამაში და ამ პირველი „თეზისი“ განმარტავს: „დამფუძნებელი კრების მოწვევა შედიოდა საგნებით კანონიერად რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიის პროგრამაში, რადგან ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრება არის დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმა და რადგან იმპერიალისტური რესპუბლიკა კერძო მეთაურობით, რომელმაც შექნა „პრეპარლამენტი“ ამხედბდა ყალბ არჩევნებს და არღვევდა დემოკრატიულ კანონებს“ ამ ნაირად დამფუძნებელი კრება, თვით ბოლშევიკების განცხადებით, არის „დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმა.“ რა კი ეს ასეა, ცხადია ყოველი ქვეშაირი დემოკრატიის და სოციალისტის, მოვალეობაა დაიცვას დამფუძნებელი კრება, როგორც „დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმა.“ ასეთია ერთად ერთი სწორი ლოგიკური დასკვნა, მაგრამ ბოლშევიკებისათვის არ არსებობს ჩვეულებრივი ლოგიკა, ამიტომ თუ ისინი თავის ბრალდების პირველ მუხლში დამფუძნებელი კრებას, დამოკრატიზმის უმაღლესი ფორმის უწოდებენ“ მე-14 მუხლში აცხადებენ: დამფუძნებელი კრების ლოზუნგი კადეტების და კალენინელთა ლოზუნგით გადაიქცა.

პირველ მუხლში ორი მოსაზრება მოყვანილი, თუ რატომ უტყვოდნენ ბოლშევიკები მხარს დამფუძნებელი კრებას: ერთი: იმიტომ, რომ დამფუძნებელი კრება დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმაა. მეორე — კერძო რესპუბლიკა იმპერიალისტური იყო და თვით კერძო არღვევდა დემოკრატიულ კანონებს, როგორც მითხველი შეამჩნევდა, ამ აშკარა ულოლიკობა: ჩვენ პროგრამაში დამფუძნებელი კრება იმიტომ შედიოდა, რომ კერძო დემოკრატიულ კანონებს. არღვევდაო მაგრამ ხად იყო კერძო და მისი იმპერიალისტური რესპუბლიკა, როდესაც სოციალ-დემოკრატებს პროგრამაში დამფუძნებელი კრება შეჰქონდათ?

მეორე მუხლში ნათქვამია, ჩვენ (ბოლშევიკები) რევოლუციის დაწყებიდან ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ საბჭოთა რესპუბლიკა დემოკრატიზმის უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე ბურჟუაზიული რესპუბლიკა დამფუძნებელი კრებით სათავეშია.

რატომ არის საბჭოთა რესპუბლიკა დემოკრატიზმის უფრო მაღალი ფორმა, ვიდრე დამფუძნებელი კრება, ამას ბოლშევიკები არ ასაბუთებენ, მაგრამ ამ ფაქტურ მხარეს თავი რომ დავანებოთ,

უნდა ვხატავთ, რომ ასეთი მსჯელობა მარქსისტული არ არის: დამფუძნებელი კრებას საბჭოთა რესპუბლიკა სჯობს, — მაშასადამე — ძირს დამფუძნებელი კრება გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკასო! რაც-რაც მოვანსენეთ ეს მარქსისტული თვალსაზრისი არ არის, რადგან მარქსისტი თავის მოძღვრების ძალით მოითხოვს არა იმას, რაც უმჯობესია, არამედ იმას, რაც აუცილებელია, რაც მწარმოებელ ძალთა განვითარების არსებულ სფეროს შეესაბამება!

ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკები თავის თავს კომუნისტებს უწოდებენ. საზოგადოებრივი ვარაქმის ბოლშევიკური გეგმა ასეთია. ჯერ დიქტატურა პროლეტარიატისა და რევოლუციონერი გლეხაკობის, შემდეგ სოციალიზმი და ბოლო: კომუნისმი. აშკარაა, რომ ამ გეგმაში უსახელმწიფო კომუნისმი დემოკრატიზმისა და სოციალიზმის უმაღლესი ფორმა უნდა იყოს. ის „სჯობს“ საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც არის გარდამავალი ხანის პოლიტიკური ფორმა. რაკი ეს ასეა, რაკი კომუნისმი საბჭოთა რესპუბლიკას „სჯობს“, ბოლშევიკებს უნდა მოეთხოვათ არა „საბჭოთა რესპუბლიკა“, არამედ პირდაპირ კომუნისმი!

ლევო შენგელიაი
(დასასრული იქნება).

პროვალნი დემოკრატიზმი და სოფალი.

ჩვენ ვიცით ერთგულ-დემოკრატიის პროგრამა. ხალა შევხვით მთ ყოველ დღიურ ტაქტიკას, მათ მოღვაწეობას. მათი დღევანდელი პოლიტიკის მთავარი აზრი არის დემოკრატიულ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა. საკმარისია გადავთვალთ ერთადერთი გაზეთები და გულდასმით წავიკითხოთ ერთგულ საბჭოს ანგარიშები, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავაწმუნდეთ, რომ მათი მოღვაწეობა პირდაპირ კონტრევოლუციონერია. მთავრობის შინაური პოლიტიკა მათ არ მოსწონთ, ერთგული დემოკრატები ხალხის წინააღმდეგ „სასტიკ ზომებს“ მოითხოვენ. მათი აზრით, თავისუფლება, რომელიც ჩვენს ერს რევოლუციამ მიანიჭა, ხალხის შეგნებას არ შეეფერება. ხალხი, მათი აზრით, ჯერ კიდევ არ არის ასეთი თავისუფლებისთვის მომწიფებული, მისთვის ჯერ კიდევ საჭიროა მთრახი. ვინც ასეთი აზრის წინააღმდეგ ვაიბოშებებს ერთგული დემოკრატების აზრით, მათ არ შეუძლიათ სახელმწიფო განაგონ, რადგან სახელმწიფოს მართვა გამგეობა ერთგულ-დემოკრატებს აქვთ წარმოადგენილი მხოლოდ ხალხის დატუქსებით, შიშითა და თავზარდაცემით. ერთგული დემოკრატები შიგნით ებრძვიან ჩვენი მშრომელი ხალხის მეგობრებს და დამცველთ, ხოლო გარეთ ცდილობენ გაამრავლონ ჩვენი ერის და რესპუბლიკის მტერთა რიცხვი. ერთგულ დემოკრატები გააკვირან: სოციალისტებმა ხალხი დალუპესო. იმას კი არ ეუბნებიან მშრომელ მასებს, როგორი ხალხი დალუპეს სოციალისტებმა. სოციალისტებმა დალუპეს მუქთა ხორები, ისინი, ვინც მშრომელ ხალხს

ქეიმი ი. კ. ავაკელია

წინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპქისა, გულისა და ჯირკვლებისა.

აშოცნობა (დაავნება) და წამლობა ყოველ გვირი ქვებისა, სისხლნაკლებობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა სიღამის 4 1/2-6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5-86

ქ. თბილისი, 7 სექტემბერი.

ანარქია და სამოქალაქო ომი საუკეთესო საშუალებაა ახალი წესწესობების წინააღმდეგ საბოძოველად. ეს კარგათ იციან ყველა ჯურის რეპუციონერებმა და ამიტომაც ისინი შეტრფიან მხარეში არედავრებას. ამაში ხედვენ ისინი თავის გამარჯვების უტყუარ სიმტკიცებს ვინა-ინა არის, რომ რაც უფრო მეტი იქნება არედავრება, ექსცეპები და საერთოდ უწყობრება, მით უფრო შესძლებდა ფართო მასას ახალი რეჟიმი, მით უფრო ძლიერდება ფსიქოლოგიური რეპრესია, ანარქია სობს საშუალებებს რომ შინა-ური ცხოვრება მოწყობილდეს, სახელმწიფოებრივი მექანიზმი განმტკიცდეს. იგი ძირს უთხრის რევოლუციონერ შედეგებს და საერთაშორისო ბრძოლაში პატარა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს იმპერიალისტთა ლუკმათ ხდის. მათ მიწიდან აღვას ნიადაგს უმხადებს. ამის დასამტკიცებლათ შორეულ ქვე-

ნების და წარსულის მაგალიტები საჭირო არ არის. საკმარისია მოვივიანოთ, თუ რა კონტაქტი არსებობდა ჩვენში ანარქიასა და გარეშე მტერთა შემოსევის შორის, ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მტერი ერთნაირად არიან დაინტერესებულნი ანარქიის გაღვივებაში.

ამას კარგათ უნდა ჩაუვირდეს ჩვენი მშრომელი ხალხი ანარქიის ლიკვიდაცია ჩვენში უკვე სწარმოებს. თითქმის მთელს რესპუბლიკაში რევოლუციონერი წესრიგი სუფევს ანარქია მხოლოდ სამეგრელოში გრძელდება. როგორც გაზეთები გამოთქვამენ გერმანელებს უკვე გამოუთქვამთ სურვილი ანარქიის ჩაქრობაში მონაწილეობა მიიღონ.

ამ გარემოებამ უნდა გამოაფხიზლოს ის სოფლები, რომლებიც ჯიუტობენ და იარაღის აყრაზე უარს ამბობენ. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, აჯანყებულებში დიდია სურვილი „საქმე შვი დობიანი გზით გათავდეს“ გერმანელების განცხადებამ უნდა გააძლიეროს ეს სურვილი მთავრობამ უსათუოდ უნდა ისარგებლოს ასეთი ასულიერი განწყობილებით და ყოველი ზომები უნდა მიიღოს ანარქიის მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციისათვის. თუ მთავრობა შურის ძიების გზას არ დაადგა, ყაჩაღური ელემენტები განმარტოებულნი დარჩებიან და მათი ალაგმეაც ადვილი იქნება.

